572
1966 / ９
ეროვნული ბიბლიოთეკა

1966 იანვარი № 1

დილა

ბავშვებო!

1965 წელს ჩვენი საყვარელი სამშობლო—საქართველო ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოვდა.

ეს უმაღლესი ჯილდო თქვენი დედებისა და მამების, დებისა და ძმების სამაგალითო შრომით არის მოპოვებული.

ახალ წელს ჩვენი სამშობლო ლენინის ორი ორდენით მკერდდამშვენებული შეეგება.

მივულოცოთ საქართველოს ეს დიდი და დამსახურებული ჯილდო!

572
1966/2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჭაბაჭაძე

ახატი გიორგი როინიშვილისა

თოვლის პაპა

გუშინ პირველი თოვლი მოვიდა. გახარებულმა ბავშვებმა ჯერ იგუნდავეს, მერე ციგები გამოიტანეს და სრიალით გული იჯერეს. საღამო ხანს კი არჩილის ეზოში შეიკრიბნენ და თოვლის პაპას გაკეთება დაიწყეს. შეცივნულ ხელებს იორთქლავდნენ, ყურებს პალტოს საყელოში მალავდნენ და თოვლს აგროვებდნენ. აი, თოვლის პაპას თავი მოაბეს, ხელებიც, მერე არჩილმა ნახშირი და ჯოხის ნატეხი გამოიტანა სახლიდან, ნახშირით თვალები გაუკეთეს, ჯოხის ნატეხი კი ყალიონივით გაურჭეს პირში. ბოლოს თქვეს, კარგიაო და დაიშალნენ.

არჩილმა ადრე დაიძინა. ეზოში კი ცუგრია და მურია ეთამაშებოდნენ თოვლის პაპას. დიდხანს ეთამაშნენ, ეთამაშნენ და ბოლოს მიწასთან გაასწორეს.

გათენდა თუ არა, არჩილი ლოგინიდან წამოხტა და ფანჯარასთან მიიჭრა, ეზოში გაიხედა, კვლავ ბარდნიდა, მაგრამ ეს რა არის?— თოვლის პაპა აბოლებს! არჩილმა თვალები მოიფშვნიტა, ხომ არ მეჩვენებაო, მაინც აბოლებს!

ბიჭუნამ ტანსაცმელი ჩაიცვა და ეზოში გამოვიდა, იქ კი იდგა თბილად ჩაცმული ტანსაცმელდათოვლილი არჩილის პაპა თეოფილე და ყალიონს არხეინად აბოლებდა.

ნახატი ვაჟა მელიქიშვილისა

სინანული

ხუჯა გაგუა

ვის ეგონა—ქარი
აგრე მკაცრი იყო!
ფანჯარასთან მდგარი
ძაღზე ღელავს მიხო.

ეკითხება ნანას:
„შეიძლება განა,
ყველას, ყველას თვაღწინ
დაილუპოს ნაძვი?!
შეიძლება განა?
მიპასუხე ჩქარა“.
და პასუხობს ნანა:
„რა თქმა უნდა, არა!“

ამ დროს ყველას თვაღწინ
დაენარცხა ნაძვი.

და ატირდა ნანა,
და ატირდა მიხო:
არ ეგონათ—ქარი
აგრე ავი იყო.

კურდღელი

გივი ჭიჭინაძე

კურდღელი ვარ ყურცქვიტა,
დავალ სკუპი-სკუპითა,
მოვიპარავ სტაფილოს,
შევჭამ კნატაკნუტითა.
ცივ წყაროსთან მივირბენ,
წყალს ვსვამ ყლაპა-ყლუპითა,
მერე სერზე ყურები
მიმაქვს ტყაპატყუპითა,
წინ თუ შემხვდა მეველე,
ცრემლს ვღვრი ღაპაღუპითა.



ჩემო შვინდავ

შიო არაგვისპირელი (ნაწყვეტი) ნახატი **იური ქლიბაძისა**

შესაბრალის სურათს წარმოადგენდა ამ დროს ჭალა, სადაც მთლად გაწუწული და გაზუნზლული სოსო დააფლატუნებდა და სიცივისაგან კანკალი გაჰქონდა. ერთი ხე აღარ მოიძებნებოდა მთელს ჭალაში, რომ ან ფოთოლი და ან ნორჩი ტოტი შერჩენოდა. სულ ძირს იყო გაფენილი და მიწასთან გასწორებული. ვინ იცის, რამდენს ფრინველს და პატარა გარეულ ნადირთ, უსაფაროდ დარჩენილთ, თავი გაეჭეჭყა და სამუდამოდ გამოესალმა წუთისოფელს! ეხლა იმათი სხეული ფოთოლთან ერთად არის არეული. აგერ ერთს ამისთანა დამახინჯებულს გვრიტის სხეულს სოსომ ფეხი წამოჰკრა და ხელში აიღო... ამან უფრო მწარე ფიქრები აუშალა საცოდავ სოსოს: „იქნება ჩემი შვინდაც ახლა ამ გვრიტივით თავგატეხილი გდია სადმე და მგლები ხარობენ იმის ხორცითაო“,—ფიქრობდა სოსო და თანაც ცრემლებს აფრქვევდა. ამ მწარე ფიქრებში გართულმა გაიარა ხშირი ჭალა და მეორე ნაპირს გავიდა. საცოდავი აქ შესდგა და იმედის გადაწყვეტით გაჰხედა ჭალას. რამდენიმე წუთი დაჰყო ასე გაჩუმებულმა და ჩაფიქრებულმა: „განა ჩემს შვინდას ვეღარ ვნახავო?!“ და გაშტერებით უმზერდა ჭალას.

— შვინდავ, შვინდავ, ფშვი... ე... ე, ჩემო შვინდავ!—უეცრად ისეთის ხმით წამოიძახა, რომ ხეებს რომ გული და გრძნობა ჰქონოდათ, ისინიც ტირილს დაიწყებდნენ.

— მმუ... უ... მმუ... უ...?!—პასუხად მოესმა იქვე ახლოდან რაღაც ზმუილი და ფაჩუნი.

— ჰა... შვინდავ, შვინდავ... ისაა!..—ზედიზედ ისროდა სიტყვებს სოსო და ძლივსღა სუნთქავდა.

— მუუუ... უ...—თანდათან უფრო ახლო მოისმოდა ზმუილი.

— ჩემო შვინდავ! ჩემო შვინდავ!..—ძახილით გაექანა სოსო იქით, საიდანაც ზმუილი მოისმოდა.

ამ დროს ჭალის პირას მშვენივრად დარგვალებული და ჩასუქებული შვინდაფერის ხარი გამოჩნდა.

— შვინდავ!..—მივარდა სოსო და კოცნა დაუწყო.

ხარიც ალერსით შეზმუოდა გახარებულ სოსოს.

პატარა მეზღვაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ქუთათელი

ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა

ერთხელ, პრინც ოლდენბურსკის სასახლის ბაღის მოაჯირთან გატრუნულს და ნუკრის მშვენებით დამტკბარს, სასულე ორკესტრის ხმა შემომესმა. რეალური სასწავლებლის ეზო გადავჭერი და თბილისის ქუჩაზე გავედი. თეთრხალათიანი ჯარისკაცები მხარზე გადებული შაშხანებითა და დაგორგლებული მაზარებით ქუჩაში მიაბიჯებდნენ. ჯარს ბოლო არ უჩანდა. წინ ორკესტრი მიუძღოდა.

ქუთაისის გარნიზონიდან აბარგებული რუსული პოლკი რკინიგზის სადგურისაკენ მიდიოდა, რათა საზაფხულოდ მიჩნეულ ბანაკში ჩასულიყო.

სასულე ორკესტრის მარშის ჰანგებმა, მწყობრში ნაბიჯით მიმავალმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა მომაჯადოეს და თვალი ველარ მოვაშორე. ჩემს ყურადღებას მაინცდამაინც სასულე ორკესტრი იპყრობდა და მეც, ბავშვებთან ერთად, მას ავედევნე.

ჯარი სადგურის მოედანზე შეჩერდა და იქ „თავისუფლად“ დადგა. ჯარისკაცებმა შაშხანები, დაგორგლებული მაზარები ჩამოიხსნეს და თავიანთ ხალათებით მოედანი გადაათეთრეს. მალე მოედანზე პოლკის ორთვალა საბარგულები, ფურგონები და სამზარეულოც გამოჩნდა. სასულე ორკესტრის დამკვრელები კი ბაქანზე გავიდნენ და თავიანთი საკრავები: საყვირი, ბუკი, ნალარა, კლარნეტი, დოლი და ბარაბნები კედელთან ჩრდილში დაალაგეს. ქუთაისის თაკარა მზით დასიცხულებმა ქუდები მოიხადეს და საკინძე გაიღეს. მერმე ჯგუფ-ჯგუფად დადგნენ, ჩემოდნებზე, უუთებზე ჩამოსხდნენ, მზესუმზირას ჩიჩქნა დაიწყეს და საუბარი გააბეს.

მატარებელს აგვიანდებოდა. ჯარისკაცებიც ბაქანზე დაყიალებდნენ.

კედელთან დალაგებული საკრავების წინ შევჩერდი და გაოცებული მივაშტერდი. ცისფერთვალება, ულვაშიანმა რუსმა ჯარისკაცმა გამიღიმა, ხელი მომხვია და წამიყვანა. იგი ჩემოდანზე ჩამოჯდა, მუხლებს შორის დამაყენა, თავზე ხელი გადამისვა, მომეალერსა და მკითხა:

— რაო, ბიჭუნავ, მოგწონს ჩვენი საკრავები?

დავირცხვინე და თავი ჩავკიდე. მეორე ჯარისკაცი ჩემს წინ ჩაცუცქდა, ნიკაპში ხელი ამომდო, თავი ამაწევინა, გამიღიმა და პეშვში მზესუმზირა ჩამიყარა, მესამემ ფოჩიან ქაღალდში გახვეული კამფეტები ამოიღო და მეზღვაურის ხალათის გულჯიბეში ჩამილაგა.

ჩემს გარშემო რუსი ჯარისკაცების წრე შეიკრა.

— ერთი ამ პატარა მეზღვაურს დამიხედე, რა ლამაზია,—გაოცდა ახალმოსული ჯარისკაცი.

ბავშობისას მართლაც ლამაზი ვყოფილვარ. დედასთან ერთად სტუმრობის, ქალაქის ბაღსა და ქუჩაში სეირნობის დროს მშობლის ნათესავები, ნაცნობნი და უცნობნიც კი საშველს არ მაძლევდნენ; მიღიმოდნენ, მეალერსებოდნენ.

ჯარისკაცები პატარა მეზღვაურს ენას მიჩლექდნენ და ჩემს გარშემო ჩამუხლულნი სასაცილო რაღაც შაირებით მართობდნენ. მე კარგად მესმოდა მათი საუბარი და შაირიც, რადგან დედაჩემი ბავშვებს ქართულთან ერთად რუსულადაც გვაღგმევინებდა ენას და მეც რუს ჯარისკაცებს რუსულად სხაპასხუპით ვპასუხობდი, რასაც მათი გაოცება და ხარხარი მოჰყვებოდა ხოლმე.

ერთმა ახოვანმა ოფიცერმა ჯარისკაცების წრე გაარღვია და იკითხა:

— რა ამბავია? ვისია ეს მშვენიერი ბავშვი, ვინ მოიყვანა?

— თქვენო კეთილშობილებავ, თვითონ მოვიდა, მოგვეკედლა,—მიუგეს კეთილი გლეხის ღიმილით ჯარისკაცებმა...

ოფიცერმაც ხელი გადამისვა და ახლა ჯარისკაცებს უთხრა:

— მშობლებს თუ ჩამორჩა და დაიკარგა, ცოდვაა!

— თქვენო კეთილშობილებავ, მოდით, პოლკში წავიყვანოთ, ვიშვილოთ,—მიუგო წვერ-ულვაშიანმა ჯარისკაცმა.

ჯარისკაცის ნათქვამი არ მომეწონა. შუბლი შევიკარი და შევუბღვირე. ოფიცერმა გაიცინა, ხელში ამიტაცა, მაკოცა, სახელი და გვარი გამომკითხა. გაიგო, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები, რომელ ქუჩაზე ვცხოვრობდი.

ოფიცერს მოეწონა ჩემი დალაგებული პასუხი და ისევ მკითხა:

— მეზღვაურო, შენს სახლს მიაგნებ?

— მივაგნებ!—დარწმუნებით მივუგე მე. რკინიგზის სადგურიდან ჩემი სახლი შორს არ იყო, მაგრამ მივაგნებდი კი!? თვალი ისევ კედელთან დალაგებულ სასულე ორკესტრის საკრავებისაკენ გამირბოდა. ოფიცერმა შემატყო, ფილაქანზე დამსვა, კლარნეტი აიღო და მომაწოდა:

— მიდი, ჩაბერე და დაუკარ!

ისეთი მონდომებით და დაჟინებით ჩავბერე, რომ ლოყები გამებუშტა, თვალის კაკლები ბუდიდან კინაღამ არ გადმომიცვივდნენ, მაგრამ კლარნეტმა ხმა მაინც არ გამოსცა.

— ეჰ, შე პატარა მეზღვაურო, დაკვრა არა გცოდნია!—გადაიხარხარეს ჯარისკაცებმა.

სადილობის დრომ მოაღწია, ჩემი ძმა მიხა შინ მივიდა, მე კი არსად ვჩანდი. მეზობლის—გოგიჩაძის ეზოდან გაიპარა, მერე არ მინახავსო,—უთქვამს მიხას. დედამ ჩემს საძებრად მეზობლები, ჩემი დები ოლღა და მარო გაგზავნა. ისინი უჩემოდ დაბრუნდნენ. დედამ კარგად იცოდა, შვლის ნუკრის სანახავად გაპარული, პრინცის ბაღის რკინის ღობესთან საათობით რომ ვიდექი ხოლმე. იქაც ვერ მიპოვეს. დედას თავზარი დაეცა. მან შვილები კოტე და გიორგი ქალაქში აფრინა, მაგრამ ისინიც ხელცარიელნი დაბრუნდნენ. შეშფოთებული დედა სასახლეში, აგრაფენასთან გაიქცა და შველა თხოვა. აგრაფენამ პოლიცია ფეხზე დააყენა.

ბაქანზე ორი პოლიციელი გამოცხადდა, ერთმა ვინაობა გამომკითხა, პატარა მუსიკოსს კლარნეტი გამომტაცა, ხელი ჩამკიდა და შინისაკენ უდიერად წამაჩანჩალა. ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უკვე მოახწრეს ჩემთან დამეგობრება და პატარა პატიმარზე გული დაწყდათ.

ქორქაშვილის სახლს რომ მივუახლოვდი, ჩემს საძებნელად ქალაქიდან დაბრუნებული, ქუჩაში, მეზობლებით გარსშემორტყმული დედა, ბიძაჩემი ბიჭიკო, ძმები—კოტე, გიორგი, მიხა, ჩემი დები—ოლღა და მარო დავინახე. დედას სანთლისფერი სახე, გაგიჟებული თვალები ჰქონდა. განა მცემა და გამიწყრა, პირიქით: ამიტაცა, გულში ჩამიხუტა და მალიმალ კოცნა დამიწყო, თითქოს პირველად მხედავდა. თანაც იძახდა:

— ეს რა ჩაიდინე, როგორ გაბედე სადგურში გაპარვა! გული კინაღამ არ გამიხეთქე და მომკალი! შე პატარა ჩურჩუტო, ავაზაკო, შენ შემოგევლოს და გენაცვალოს დედაშენი!

ახლა კი შევშინდი, დანაშაული ვიგრძენი, დავირცხვინე, დედას კისერზე ხელები მოვხვიე, ჩავეხუტე და არავის რომ არ დავენახე, თვალები დავხუჭე.

დედის მკერდში ჩაკრულს, დარცხვენილსა და თვალებდახუჭულ ბავშვს რკინიგზის სადგურზე გაცნობილი რუსი ჯარისკაცები და ოფიცერი მაგონდებოდა.

იმ ჯარისკაცებს და ოფიცრებსაც ისე თვალნათლივ ვხედავდი და ახლაც ვხედავ,—მხატვარი რომ ვიყო, უთუოდ დავხატავდი.



ეს გოგონა ვისია?

თინათინ კვირიკაძე

მე ყინულის მოედანზე
ისე უნდა ვისრიალო,
რომ ყველანი კითხულობდნენ,
ეს გოგონა ვისიაო!

მანჭანა

ევგენი ბართაია

ჩაის ფოთოლს ისე კრეფს,
თითქოს ჰქონდეს თითები,
ყველა უკან მოგვიტოვა
პატარებიც, დიდებიც.

რადიოსთან

გიორგი გიგაური

— ყურადღება, ყურადღება, —
აცხადებენ უცებ
და პატარა ბადრის გული
სიხარულით უცემს...

ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ვარჯიშს იწყებს ბადრი,
ბადრისთანა ჯანმრთელობას
ვერვინ დაიქადნის.

ნახატი ვაჟა მელიქიშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საოცარი შავშვი

ედიშერ ყიფიანი ნახატი ზურაბ მეძმარიაშვილისა

იყო ერთი პატარა ბიჭი გოჩა. მის მეზობლად, მეხუთე სართულზე ცხოვრობდა ძია თედო—ავტობუსის მძღოლი.

გოჩას ძალიან უყვარდა ძია თედო, ძია თედოსაც უყვარდა გოჩა, შეხვედრისას ტოლივით მხარზე ხელს დაარტყამდა და ჰკითხავდა:

— როგორა ხარ, გოჩა?

და გოჩაც მუდამ ასე უპასუხებდა:

— ძალიანაც კარგად ვარ!

ერთხელ ძია თედომ დაარიგა:

— როცა ასე შეგეკითხებიან, გოჩა. უნდა თქვა: „გმადლობთ“.

გოჩამ თავისებურად გაიგო დარიგება და იმ დღეს, ყოველგვარ შეკითხვაზე, იყო თუ არა საჭირო, მადლობას იხდიდა:

— გოჩა, დედა სად არის?

— ბაზარში წავიდა, გმადლობთ!

— გოჩა, ვინ გატეხა ეს თეფში?

— მე გავტეხე, გმადლობთ!

საღამოს დედას ამხანაგი ეწვია სტუმრად, სათვალიანი, მაღალი ქალი.

დედამ გაზის ქურაზე ჩაიდანი შედგა.

სტუმარმა ქალმა გოჩას თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— სკოლაში ხომ დადიხარ, გოჩა?

— არა, საბავშვო ბაღში.... გმადლობთ!

— ოჰო, წამოიძახა ქალმა და დედას შეხედა,—რა ზრდილობიანი ბავშვი ყოფილა, საოცარია პირდაპირ,—მერე ისევ გოჩას მიუბრუნდა,—შენზე მითხრეს, ძალიან კარგი ბიჭიაო, მართალია?

— დიახ... გმადლობთ!—თქვა გოჩამ.

— საოცარია პირდაპირ, პირდაპირ საოცარია,—ხელები გაშალა ქალმა,—მაშინ, თუ კარგი ბიჭი ხარ, ლექსი მითხარი, ხომ იცი ლექსი?

— ვიცი, გმადლობთ!

— საოცარია პირდაპირ, საოცარი,—მუხლზე ხელი დაირტყა ქალმა,—აბა, თქვი!

— ვერ ვიტყვი, გმადლობთ!

სათვალიანი ქალი ფეხზე წამოიჭრა.

— ეს რა ზრდილობიანი ბიჭი გყოლია, ნინო,—უთხრა დედას,—საოცარია, პირდაპირ, საოცარია!

დედა დაიხარა და გოჩას ნიკაპი აუწია:

— ბიჭო, ვინ გასწავლა ეგ, ყველაფერზე რომ მადლობას იხდი?

— ჰო, გოჩა,—დაუმატა სტუმარმა ქალმა,—ზრდილობა კარგია, მაგრამ განა ყველაფერზე მადლობა უნდა გადაიხადო!

გოჩა ჩაფიქრდა და თქვა:

— საოცარია პირდაპირ!

შოთა რუსთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო, 1966 წელი რუსთაველის წელიწადია. ყოველ ნომერში გაეცნობით გენიალური მწერლის—შოთა რუ ვეფხისტყაოსნის შინაარსს, მის ისტორიას, პოემის გმირებს: ტარიე ჯანს, თინათინს და სხვებს. მათი საინტერესო თავგადასავალი შ ცობას, მეგობრობას, ერთგულებას. ვეფხისტყაოსანი თქვენი საყ

1966 წლის სექტემბერში მთელი მსოფლიო იზეიმებს გენიალური ქართველი პოეტის—შოთა რუსთაველის დაბადების რვაასი წლისთავს. განათლებული კაცობრიობა კიდევ ერთხელ გაიხსენებს თავის ერთ-ერთ ყველაზე საამაყო შვილს, დიდ ქართველ მელექსეს, რომელმაც უკვდავი ვეფხისტყაოსანი დაგვიწერა.

რუსთაველი ქართველი ხალხისათვის იგივეა, რაც ბერძნებისათვის ჰომეროსი, ინგლისელებისათვის შექსპირი და იტალიელებისათვის დანტე.

ვეფხისტყაოსანი ჩვენში ყველაზე საყვარელი წიგნი იყო. ამ წიგნით ქართველი ხალხი სწავლობდა გმირობასა და ერთგულებას, მეგობრის სიყვარულსა და ქალის პატივისცემას, ჭირში სიმტკიცესა და გამარჯვებას. ვეფხისტყაოსნის გმირებს ჰბაძავდნენ. მკითხველი ცდილობდა და ნატრობდა მათი მსგავსი ყოფილიყო.

შეუძლებელია, ვეფხისტყაოსნის ავტორს სხვა პოეტური ნაწარმოებები არ ჰქონოდა. მაგრამ ამ ნაწარმოებებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამის მიზეზია ის უმაგალითო ისტორიული უბედურება, რაც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში თავს დაატყდა. ქართული თხზულებების ძალიან დიდი ნაწილი უკვალოდ გაქრა. ხელთნაწერები, რომლებშიც ჩვენი ენისა და ჩვენი კულტურის უძვირფასესი საუნჯე იყო შემონახული, უვიცმა დამპყრობლებმა ცეცხლში დაწვეს.

სხვა ხელთნაწერებთან ერთად ვეფხისტყაოსნის მრავალი ხელთნაწერიც მოისპო. მაგრამ ხალხის სიყვარულმა ეს ძვირფასი ქმნილება მაინც საიმედოდ დაიცვა. ვეფხისტყაოსანს ხშირად გადაიწერდნენ ხოლმე და დღეს პოემის 150 ხელთნაწერი გვაქვს.

პირველად ვეფხისტყაოსანი წიგნად ქართველმა მეფემ ვახტანგ მეექვსემ გამოსცა 1712 წელს. ვეფხისტყაოსანი თარგმნილია ორმოცამდე სხვადასხვა ენაზე.

სად დაიბადა რუსთაველი? სად გაიზარდა, სად მოღვაწეობდა და სად დაწერა თავისი უკვდავი პოემა? ამის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით. ვეფხისტყაოსნის ავტორის ბიოგრაფია დღეს ჩვენთვის თითქმის დაკარგულია ისევე, როგორც დაკარგულია მსოფლიოში განთქმული ბევრი სხვა ნაწარმოების დამწერთა ბიოგრაფიები.

შოთა რუსთაველის სურათი პალესტინის ქართველთა ჯვრის მონასტრის კედელზე.

ვედი

რიდან ჩვენი ჟურნალის
ლის ვინაობას, უკვდავი
ვთანდილს, ნესტან-დარე-
ავლით გმირობას, ვაჟკა-
ი წიგნი გახდება.

ჩვენ ვიცით, რომ ვეფხისტყაოსნის დამწერს რუსთაველი ერქვა, რაც რუსთავის მცხოვრებს ან რუსთავის მფლობელს ნიშნავს. ამას ავტორი თვითონ გვეუბნება პოემის შესავალში.

ჩვენ შემოგვრჩენახა აგრეთვე პოეტის პორტრეტი. შორეულ ქვეყანაში—პალესტინაში ბევრი ქართული მონასტერი იყო. ამ მონასტრებს ქართველი მეფეები აგებდნენ, პატრონობდნენ და ინახავდნენ. მრავალი საუკუნის მანძილზე აქ, უცხო ქვეყანაში, ქართულ ენაზე თხზავდნენ და გადაიწერდნენ ხოლმე ღირსშესანიშნავ ქართულ წიგნებს. ქართველთა დიდი კულტურის კერა იყო ჯვრის მონასტერი. აი, ამ მონასტრის ეკლესიის ერთ-ერთ სვეტზე შენარჩუნებულია ფრესკა, რომელსაც ასომთავრული, ანუ ძველი ქართული ანბანით მიწერილი აქვს სიტყვა «რუსთველი». სურათზე გამოსახულია ხელებაპყრობილი თეთრწვერა მოხუცი—ქართველი დიდებულის სამოსში. პორტრეტის ცოტა ზემოთ წარწერაა: «ამისა დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმან. ამინ».

ამ ძვირფასმა პორტრეტმა ბევრი უბედურება გადაიტანა. ჯვრის მონასტერი ამჟამად ქართველებს აღარ ეკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავჯე, რუსთველმან გავლექსე.

ნახატი ს. ქობულაძისა

თვნის. მისმა ახალმა პატრონებმა ქართული მხატვრობა და წარწერები შელესეს კედლებზე. მათ შორის რუსთაველის პორტრეტიც. პორტრეტი აღადგინა და გადაიღო 1960 წელს საგანგებო ექსპედიციამ, რომელშიც შედიოდნენ ქართველი აკადემიკოსები: ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი და აკაკი შანიძე. მათ ეს სურათი საქართველოში ჩამოიტანეს.

ნოდარ ნათაძე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

დავით ჯავახიშვილი

ამბავი ხარბი თედოსი და კეთილი იროდიონისა

ზღაპარი

პატარა სოფლის განაპირას, ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდა ორი კაცი. ერთი ძალიან გამრჯე და კეთილი იყო, და სახელად ირიდიონი ერქვა, ხოლო მეორე ისეთი ძუნწი და ბოროტი იყო, რომ მეზობლისთვის ღიმილიც კი ენანებოდა, სახელად ერქვა თედო. ირიდიონს სახლის გარშემო ხეხილის ბაღი ჰქონდა გაშენებული და მთელ გაზაფხულსა და ზაფხულს ხეების მოვლა-პატრონობაში ატარებდა. თედო კი ამასობაში მხართეძოზე წამოგორებულიყო და ჭამის მეტს არაფერს აკეთებდა. შემოდგომაზე, როცა ხილი დამწიფდებოდა, თედო ირიდიონის ნაოფლარ ჭირნახულს თითქმის მუქთად შეისყიდიდა, წაიღებდა ქალაქში, იქ ცეცხლის ფასად გაჰყიდიდა და დიდ მოგებას ნახულობდა. ამიტომაც იყო, რომ ზამთრობით ირიდიონს შიმშილისაგან კუჭი უხმებოდა. თედო კი მაძღრად ცხოვრობდა და მადლობის მაგიერ, თავისი მეზობლის სიკეთეს გულში მწარედ დასცინოდა.

ასე გადიოდა წლები, ვიდრე ეს უცნაური ამბავი არ მოხდა:

შემოდგომის ერთ მშვენიერ დილას ირიდიონმა, როგორც ყოველთვის, ადრიანად გაიღვიძა, გამოვიდა გარეთ და საკუთარ თვალებს არ დაუჯერა: ვაშლის ერთერთ ხეს ნაყოფი გამოესხა. სწორედ ამ დროს მთების უკან ამოდიოდა მზე და მის სხივებზე ოქროს ვაშლები თვალისმომჭრელად ელვარებდნენ. ირიდიონს ეგონა მეჩვენებაო, თვალები მუშტებით მოიფშვნიტა, მაგრამ რაკი ნახა, რომ ვაშლები ისევ ისე ლამაზად ბზინავდნენ, ღახარებულმა გასძახა თედოს:

— მეზობელო, გამოდი, ნახე, რა ბედი მეწიაო!

თედომაც გამოსვლა არ დააყოვნა და გაოცებისაგან პირდაღებული, დიდხანს შესცქეროდა ოქროს ვაშლებით დახუნძლულ ხეს. ბოლოს იფიქრა: ირიდიონი თუმც უგნურია, მაგრამ ამ ვაშლებს კი ნამდვილად აღარ მომყიდის და ეშმაკობით თუ არ დავტყუე, ხომ შურისაგან გავსივდებიო. ჯერ მაინც ვაჭრობა სცადა და უთხრა ირიდიონს:

— მომყიდე ეს ხე და რაც გინდა, მთხოვეო.

— არა!—უპასუხა ირიდიონმა,—არ მოგყიდი, მაგრამ რადგანაც მეზობლები ვართ, ნახევარი შენი იყოსო.

თედოს სიხარულისაგან კინაღამ გული გაუსკდა და მაინც ეს გაიფიქრა: სულ რომ მოეცა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთესი იქნებოდაო. დაკრიფეს ვაშლები და გაიყვეს შუაზე.

სოფელში ხმა გავარდა, ირ0დიონის ხემ ოქროს ვაშლები მოისხა და პატრონმა ნახევარი მეზობელს მისცაო. დაიძრა სოფლის ღატაკობა ირ0დიონისა და თედოს უბნისკენ, იქნებ ჩვენც გვერგოს რამეო. თედომ რომ ეს ამბავი გაიგო, შინ ჩაიკეტა, ძაღლები აუშვა და ახლოსაც არავინ მიიკარა. ირ0დიონმა კი თითო ოქროს ვაშლი ყველას დაურიგა. ბოლოს თვითონაც ერთადერთი ცალიღა დარჩა. არც კი უნანია, ესეც მეყოფაო, გაიფიქრა. წავიდა ქალაქში გაყიდა ვაშლი, იყიდა ორი უღელი ხარ-კამეჩი, ერთი გუთანი და კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

თედოს ოქრო ისე უყვარდა, რომ ვაშლების გაყიდვა ფიქრადაც არ მოსვლია. დაანთო დიდი ცეცხლი, ვაშლები ოქროს ზოდებად გადაადნო. ზოდები ქალაქში წაიღო და ნაწილი ოქრომჭედელს მიუტანა, ნაწილი—კბილის ექიმს. ექიმმა თედოს ოცდათორმეტივე ნამდვილი კბილი დააძრო და სამაგიეროდ სამოცდათხი ოქროს კბილი ჩაუსვა. ოქრომჭედელმა კი საყურეები, ბეჭდები, სამაჯურები და სხვა ათასნაირი სამკაული გამოუჭედა. მოიკაზმა ჩვენი თედო ნაძვისხესავით, ყურებზე საყურეები ჩამოიკიდა, ყელზე—მძივები, მაჯებზე სამაჯურები დაიმაგრა, ბეჭდები კი თითო თითზე სამ-სამი ჩამოიცვა, ხელის თითები რომ აღარ ეყო, ფეხებიც ბეჭდებით დაიმშვენა. ჩაიხედა სარკეში და გაიფიქრა: სოფელში ასეთ მორთულს რომ მნახავენ, უეჭველად მეფედ დამსვამენ და მაშინ კი რამდენ ვაშლსაც გამოისხამს ირ0დიონის ხე, ყველა ჩემი იქნებაო. კმაყოფილი გამოეშურა შინისაკენ. სამკაულებს გზაში ისეთნაირი ჟღარუნი და რაჩხარუჩხი გაჰქონდათ, ქალაქელებს ეგონათ, ეკლესიის ზარებსა რეკავენო და პირჯვარს იწერდნენ. ისედაც ქვევრივით გაბერილი და მძიმე თედო ამდენმა ოქრომ უფრო დაამძიმა, მის ფეხქვეშ ახლა ქვაფენილიც კი ზანზარებდა და იდრიკებოდა. რის ვაივაგლახით მიაღწია ქალაქის ბოლოს, საიდანაც სოფლის შარაგზა იწყებოდა, უქვაფენილო მიწამ თედოს სიმძიმეს ვეღარ გაუძლო და... პირი გახსნა. ჯერ მარცხენა ფეხი ჩაერჭო მიწაში ლურსმანივით, უკან დაბრუნება რომ დააპირა, მარჯვენასაც იგივე მოუვიდა. მიხვდა ხარბი თედო რისი ბრალიც იყო, მაგრამ სიმდიდრეს, აბა, როგორ შეელეოდა? რაც დრო გადიოდა, მით უფრო ღრმად იფლობოდა იგი მიწაში, მით უფრო მაგრად იხუტებდა გულში ოქროებს და ხმამაღლა ამბობდა კიოდა:

— ჩემია! არავინ მომეკაროსო!

მალე მიწამ ისევ შეჰკრა პირი და თედო თავის სიმდიდრიან-სიხარბიანად უკვალოდ გაჰქრა.

კეთილი ირ0დიონი კი დღესაც ჯანმრთელადაა, მიწას ხნავს, ხეხილს უვლის და თავისი ბედით ძალიან კმაყოფილია.

ნახატები **დიმიტრი ზარაფიშვილისა**

ლომის ლეკვის თავგადასავალი

ვორდ ლოკი

იყო და არა იყო რა, იყო დედა ლომი, მამა ლომი და მათი პატარა ლეკვი. ისინი ჯუნგლებში ცხოვრობდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს მათი სადგომის წინ ჩაიარა დედა ვეფხვმა, მამა ვეფხვმა და პატარა ბოკვერმა. მათ დანახვაზე ლომის ლეკვი მოუვა ტირილს.

— მეც მინდა ვიყო ასეთი ზოლებიანი!

— ზოლებიანი ლომი ვის გაუგონია!— უთხრა დედამ,—შეხედე მამაშენის დიდებულ ფაფარს, როცა გაიზრდები, შენც ასეთი მშვენიერი ფაფარი გექნება.

მაგრამ ლეკვი მაინც ტიროდა:

— მეც მინდა ზოლები...

ღრიალებდა:—მინდა ზოლებიანი ვიყო!..

წუწუნებდა:—მინდა ზოლებიანი ვიყო!..

დედ-მამა შეეცადა დაემშვიდებინათ იგი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიგეს მისი გული, ვერაფრით!

სამუელ მარშაკი

ნახატი თენგიზ სამსონაძისა

საზეიმოდ სადიდკაცო
ღვაშების გარდა,
ფედაბერმა გამოაცხო
ადღიანი ქადა.

კარზე იდგა შემოდგომა,
ზუზუნებდა ქარი,
„ნუ გიჭირსო წამოდგომა,
დახურეო კარი“!—
საწოლიდან გასძახოდა
ცოლს უქნარა ქმარი.

აბუზღუნდა უცბად ქალი:
„არ დავხურავ, დიახ,
არ დავხურავ, თუნდაც კარი
დარჩეს მუდამ ღიად“.

ინდი-მინდი, ბოლოზე წმინდა
ყინვა იდგა კართან,
გრძელდებოდა დავა დიდი,
სანამ ქმარმა არ თქვა:

„ჩვენ ორივეს ჯდომა გვიყვარს,
რა გვაქვს საჩხუბარი!
ვინც პირველი იტყვის სიტყვას,
მან დახუროს კარი“.

ჩამოღამდა, ჩამობნელდა,
დუმს ცოლ-ქმარი ისევ,
უკვე შუაც გამონელდა
და საათის ისრებს
ქარი სახლში შემოჭრილი
ამტვრევინებს კისერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეკო, ღასუკე ქაკი

დაიხურა დედამიწამ
ღამის შავი ქუდი,
აივნიდან გადმოვიდა
სახლში ორი ქურდი.

ქარმა ძღიერ დაუბერა,
ქრის ოთახში ქარი,
ხმას არ იღებს დედაბერი,
ხმას არ იღებს ქმარი.

ქურდს რა უნდა? რა უნდა და
ბნელი ღამე უნდა,
ქურდს რა უნდა? სასმელი და
სანოვაგე უნდა.

ღამის სტუმრებს, ღამით თურმე
მოსდით ჭამის მადა,
ღუდი სვეს და გადასანსღეს
ადღიანი ქადა.

მოხუც ცოდ-ქმარს
რაც რამ ჰქონდა,
წაიყოღეს თან და
კარებში თქვეს:
„არ ვარგოდა,
ცომი იყო ქადა,“

„არა გაქვთო პირში გემოო!“—
მიაძახა ქადმა,
„სანიძღაო წააგეო,“—
გაიხარა ქმარმა.
ცოდმა კარი დახურა და
ქროღვას უკღო ქარმა.

თარგმნა **ვაჟა ყუბუსიძემ**

ლეკვი წავიდა ბებერ მაიმუნთან, დიდ ბებერ ხეზე რომ ცხოვრობდა.

— მეც მინდა ვეფხვის ბოკვერივით ზოლებიანი ვიყო.

მაიმუნმა გაილიმა და უთხრა:

— ლეკვო, მე ძალიან მოხუცი ვარ, მაგრამ მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არასოდეს შემხვედრია ზოლებიანი ლომი.

ლეკვმა არ დაუჯერა მას და წავიდა ბებია კუსთან, რომელიც ზღვის პირას ცხოვრობდა.

მოლაპარაკე ფრინველები

არჩილ ჯანაშვილი
პროფესორი

ბევრ თქვენგანს მოუსმენია თუთიყუშის „ლაპარაკი“. მრავალი მათგანი წამოიძახებს, ან იმეორებს ცალკეულ სიტყვებს. ბუნებრივია, თუთიყუში ამას მექანიკურად იხსომებს და შემდეგ იმეორებს.

გარდა თუთიყუშებისა, ბევრი სხვა ფრინველებიცაა „მოლაპარაკე“, მათ შორის ნამდვილი ოსტატებიც არიან.

შოშიაც შესაძლებელია მივაჩვიოთ „ლაპარაკს“.

მოლაპარაკე ფრინველთა შორის აღსანიშნავია ჩვენებური კაჭკაჭი.

კარგად მოლაპარაკედ ითვლება ჩხიკვიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლოქნარა. მისი სამშობლო ავსტრალიაა, სადაც იგი ბარდებიან ტყეებსა და ბუჩქნარებში ცხოვრობს.

ბოლოქნარას ძლიერ კარგად აქვს განვითარებული სმენა. ადვილად ბაძავს სხვა, როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ფრინველების ჩხავილსა და სტვენას, ბავშვების ტირილსა და სიცილს, ძაღლის ყეფასა და ყმუილს, ორთქლმავლის საყვირის ხმას, ხერხის ღრიჭინს.

ხმის მიმბაძველობაში განსაკუთრებით გამოირჩევა შაშვი-მცინარი, რომელსაც ამ საქმეში ბადალი არა ჰყავს. შაშვი-მცინარი ჩვენებური შაშვისოდენა ფრინველია და ცხოვრობს ჩრდილოეთ ამერიკაში. იგი ხშირად შემოჯდება ხოლმე ღობეზე, ან ხეზე და იწყებს თავის „ოინებს“.

ლეკვმა დაინახა თუ არა კუ, შესძახა:

— ბებია კუ, მეც მინდა ვეფხვის ბოკვერივით ზოლები მქონდეს.

კუმ თავი ასწია და უთხრა:

— ჩემო ბიჭუნი, უკანასკნელი ასი წლის მანძილზე მე ბევრი რამ მსმენია, მაგრამ არასოდეს გამიგონია, ლომს ვეფხვივით ზოლები ჰქონოდეს!

ლეკვს ძალიან დაწყდა გული. გადასწყვიტა, წასულიყო და ენახა ვინმე, ვინც უფრო მეტად ერკვეოდა ფერებში.

— როკოკო,—უთხრა მან თავის მეგობარ თუთიყუშს,—მე მინდა ბოკვერივით ზოლები მქონდეს და...

— ოჰ!—შეაწყვეტინა მას ენაჭარტალა როკოკომ,—ჩემთან იმიტომ მოხვედი, რომ მე ასეთი ფერები მაქვს. ჩემო ნორჩო მეგობარო, ეს ფერები მე მიტომ მაქვს, რომ თუთიყუში ვარ. ასევე, ვეფხვი იმიტომ არის ზოლებიანი, რომ ის ვეფხვია, ლომს კი ფაფარი აქვს. ამ ქვეყნად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი, ისმის ბავშვის ტირილი. შეშფოთებული დედა გარეთ გამოვარდება, სათამაშოდ გასულ ბავშვს რომ მიხედოს, გაიგოს, რა დაემართა, რა ატირებს, მაგრამ, როდესაც დაინახავს, რომ ბავშვი მშვიდად თამაშობს. ხოლო ლობეზე შაშვი-მცინარი ონავრობს. მაშინ ხვდება თავის შეცდომას.

უცებ ისმის ავტომობილის საყვირის გამალებული ხმა. სახლის პატრონი ფანჯრიდან იყურება: ვისი მანქანა მოადგა მის კარს. ვინ ესტუმრა? როდესაც მასპინძელი ავტომანქანის ნაცვლად შაშვ-მცინარს დაინახავს, თვითონაც ეცინება.

ხანდახან ისმის ძაღლის გააფთრებული ყეფა. სახლის პატრონი ამ ხმაზე სწრაფად გამოდის გარეთ, რომ ნახოს, ვის უყეფს ძაღლი. მაგრამ ესეც შაშვი-მცინარის ოინებია.

ნახატები ირაკლი არდიშვილისა

ლოდ ადამიანები ატარებენ სხვადასხვა ფერის სამოსს.
ალად ახირებულხარ, წადი შინ, დედასთან.
ლეკვმა სევდიანად ჩაიდუდღუნა:
— როკოკოსაც კი არ უნდა დამეხმაროს. მაგრამ მან
, ადამიანები ფერად ტანსაცმელს ატარებენო. მაშ
წავალ სოფელში და იქ ვიშოვნი საჭირო ფერს.
ოფელში? კი მაგრამ მშობლებს ხომ არაერთხელ
ამთ მისთვის, არასოდეს წასულიყო სოფელში—არა-
ეს. რადგან იქ ადამიანები ცხოვრობენ, ადამიანები
ლებიც იჭერენ და გალიებში სვამენ ლომებს, მერე
ლი ლომები ზოოლოგიურ პარკებში ატარებენ მთელ
ცხლეს. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ამ საშინელმა
ებმაც კი ვერ ააღებინეს ხელი განზრახვაზე ამ აბე-
ლეკვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიყვი მგელი და

ზღაპარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა? ყინვიან ზამთარში ერთ დაბურულ ტყეში შიმშილით კბილებაკაწკაწებული მგელი დაძრწოდა და საკბილოს ეძებდა.

სად იყო და სად არა, ერთი კურდღელი შემოეყარა.

— შეჩერდი! შიმშილ..თ სული მძვრება და უნდა შეგსანსლო!—დაუღრიალა მგელმა კურდღელს.

— რას მერჩი, მგელო, მე რა გემო უნდა ჩამატანო, ცარიელი ძვალი და ტყავი ვარ,—მიელაქუცა ეშმაკი კურდღელი მგელს.—ახლა ნუ შემჭამ და ამ შემოდგომაზე ისეთ ჩაპუტკუნებულ ბაჭიებს მოგგვრი, რომ ჭამით ვერ გაძღე.

მგელს კურდღლის სიტყვები ჭკუაში დაუჯდა და თათი აღარ ახლო. ორივემ თავთავისი გზით გასწია.

ზამთარი მიილია. დადგა გაზაფხული. გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა და აჰა, შემოდგომამაც მოაწია.

ერთ მშვენიერ დღეს მგელი ისევ შეხვდა კურდღელს.

— რას შვრები, ძმობილო, სად არის შენი დაპირებული ბაჭიები?!—შორიდანვე დაუძახა მგელმა.

— ამ კვირას მოგართმევთ!—თავი მდაბლად დაუკრა კურდღელმა.

კვირას კურდღელი თავისი ექვსი ბაჭიით დილაადრიან გაუდგა გზას. სიმინდის ყანას რომ ჩაუარეს, დედამ ბაჭიებს თითო-თითო ტარო მოუტანა და პირში ჩაუდო,

იგი სირბილით შეიჭრა სოფელში, რამდენიმე ცარიელ სახლს გვერდი აუარა და მაღაზიაში შევარდა.

„ოჰო!“ აქ ხორცის სასიამოვნო სუნი სცემს, ამას გარდა ბევრი სხვა სუნიც ტრიალებს, მაცდურად რომ ულიტინებს მის ნესტოებს.

კედელზე დამაგრებულ თაროზე საღებავებით სავსე ქილები ეწყო. ლეკვმა სულ სათითაოდ მოსინჯა ისინი: წითელი? არა... ყვითელი? არც ეს... ბოლოს მიაგნო რასაც ეძებდა: შავი საღებავით სავსე ქილას.

სწორედ ამ დროს ადამიანების ხმა შემოესმა. ლეკვმა სასწრაფოდ აიტაცა ქილა და მაღაზიიდან გამოვარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭკვიანი კურდღელი

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

ისე, რომ ფუჩეჩი გარეთ ჰქონდათ გამოჩრილი. დედამ შვილები დაარიგა: ტყეში რომ შევალთ, ბუჩქებში დაიმალეთ და სანამ არ დაგიძახოთ, ცხვირი არ გამოჰყოთო.

ჭკვიანი კურდღელი მგლისკენ გაქანდა. მგელი უკვე კარგა ხანი ელოდებოდა და მოუთმენლად შეუტია, სადა ხარ აქამდე, ან შენი ბაჭიები სადღა არიანო.

— რომ იცოდე, ბატონო მგელო, რა სიკეთეს მიზამ, ამ ბაჭიებს თუ მომაშორებ. ამას წინათ რომ ლომი შემოეჭამათ, იმის შემდეგ მთლად თავს გავიდნენ. ახლაც თითო-თითო მგელი შესანსლეს ძვალიან-ტყავიანად და ადგილიდან ძლივსღა იძვრიან,—შესჩივლა კურდღელმა მგელს.

დედა კურდღელმა ბაჭიებს გასძახა: სადა ხართ, გამოდითო. ბაჭიები ბუჩქებიდან გამოცუნცულდნენ და სკუპსკუპით გამოეშურნენ მგლისაკენ.

მგელმა ერთ ხანს უყურა ბაჭიებს და მერე კურდღელს ჰკითხა:

— ეს რა უჭირავთ შენს შვილებს პირში?

— ხომ გეუბნებოდი, მგლები რომ შესანსლეს, ახლა იმათი კუდებით იქცევენ თავს,—მიუგო კურდღელმა.

მგელმა ეს რომ გაიგონა, კუდი ამოიძუა და ტყისაკენ გაძუნძულდა.

ჭკვიანმა კურდღელმა კი თავისი ბაჭიებით მხიარულად გასწია შინისაკენ.

გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ

ქუჩაში რამდენიმე მამაკაცი იდგა. მათ ხელში ბადე და ხაფანგი ეჭირათ. როცა დაინახეს პატარა ლომი, რომელსაც ალებავიანი ქილა მოჰქონდა, იმდენად გაოცდნენ, რომ განძრევაც კი ვერ მოახერხეს.

ალებავიანი ქილით პირში ლეკვი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა და ვერც კი შეამჩნია, როგორ დააბიჯა კაქტუსს. გაჯავრებულმა კაქტუსმა მწარედ უჩხვლიტა თათზე. მაგრამ ლეკვს ყურადღებაც არ მიუქცევია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გარბოდა იმ ხისაკენ, რომელზეც ბებერი მაიმუნი ეგულებოდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ინგლისურიდან თარგმნა ბაბულია შელიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

2

3

1. „ზამთარი“—ნახატი **ნანა ტყეებუჩავასი.** 6 წლის, სამტრედია.

2. „პეიზაჟი“—ნახატი **ქეთევან კეკელიძისა.** 8 წლის, თბილისი.

3. „კარ-მიდამო“—ნახატი **იური სტუჩენკოვისა.** 10 წლის, სოფ. გლდანი.

4. „კატერი მექსიკელი მგზავრებით“—ნახატი **მერაბ გუჯაბიძისა.** 4 წლის, თბილისი.

5. „გაუხედნავი ცხენი“ — ნაძერწი **რამაზ მიქელაძისა.** 6 წლის, თბილისი.

4



5

რედაქტორი ბანერულ ჩარკვიანი, მარედაქციო კოლეგია: ბ. ბეგენიშვილი, ა. მოგბიაშვილი, ჯ. ლილუა, მაკ. მრევლიშვილი, ჯ. ნინუა, შ. ფხაკაძე (სახატვრო რედაქტორი), ნ. ფულეისკირი (რედაქტორის მოადგილე), რ. ჭმიშვილი
[illegible] ბალა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნიჭიერ ბიჭთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი

ფასი მხატვრობა ზურაბ ფოლრაზნაძისა

ტექნიკურ რედაქტორი ტექრედაქტორი ბ. როინიშვილი
[illegible] ავტორებს არ დაუბრუნდებათ.
[illegible] ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI 1965 წ.
[illegible] „ЦИТА“ на грузинском языке. Тбилиси, просп. Плеханова № 31.
[illegible] ბ. ალექსიძის ქუჩა, № 31. ტელ. 5-37-39, 5-18-09.

ფასი 20 კაპ.